# საქართველოს ეკონომიკის მიმოხილვა

## 2010 წლის I კვარტალი

**www.georgia.gov.ge**

# ეკონომიკა გამოდის კრიზისიდან

- 2010 წლის მონაცემები ოპტიმიზმის საფუძველს იძლევა და საშუალებას გვაძლევს ვიმსჯელოთ რომ საქართველოს ეკონომიკა წარმატებით გამოდის კრიზისიდან და დაადგა ეკონომიკური ზრდის გზას

- 2010 წლის პირველი კვარტალის მონაცემები მნიშვნელოვნად გაუმჯობესებულია 2009 წლის მონაცებთან მიმართებაში და შედარებადია 2008 წლის პირველი კვარტალის ანალოგიურ პერიოდთან, როდესაც ეკონომიკური აქტივობა ძალიან მაღალი იყო.

# მთლიანი შიდა პროდუქტის დინამიკა

- 2009 წლის მეოთხე კვარტალში საქართველოში მშპ-ს ზრდა 0.4% დაფიქსირდა, ეს მაჩვენებელი მსოფლიოს მასშტაბით ერთ ერთი საუკეთესოა
- 2010 წლის მშპ-ს პროგნოზი კონსერვატიულად 2%-იანი ზრდით განისაზღვრება, ხოლო რეალისტურად შესაძლებელია მეტითაც გაიზარდოს
- 2009 წელს მშპ-მ 17.9 მილიარდი ლარი შეადგინა




*წყაროები: ევროსტატი*
**სტატისტიკის ეროვნული სამსახური,*

# სამომხმარებლო ფასების ინდექსი და გაცვლითი კურსი

- ინფლაცია 2009 წლისათვის 3%-ით შემოიფარგლა
- ეროვნული ბანკის (სებ) პროგნოზით 2010 წლის ინფლაცია პერიოდის ბოლოს 6% იქნება

## ინფლაცია




*წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

## USD/GEL გაცვლითი კურსის დინამიკა




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

# 2009 წ. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

- 2009 წლის მეოთხე კვარტალში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა მიაღწია 254 მლნ ამერიკულ დოლარს.
- 2009 წლის განმავლობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა სტაბილურად იზრდებოდა და ჯამში შეადგინა 760 მილიონი აშშ დოლარი




*წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

# 2010 წ I კვარტლის საგადასახადო შემოსავლები

- სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2010 წლის პირველ კვარტალში 12.1%-ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით.




*ერთჯერადი საბაჟო ტრანსფერის გამოკლებით

*წყარო: სტატისტიკის ეროვნული სამსახური*

# საბანკო სექტორი

- 2010 4 თვის მონაცემებით დეპოზიტების მოცულობა 44.5%-ით გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით და 3 587 მლნ. ლარი შეადგინა
- 2009 წლის ოქტომბრიდან 2010 წლის აპრილამდე სესხების მოცულობა გაიზარდა დაახლოებით 257 მილიონი ლარით და 5 518 მლნ ლარი შეადგინა




*წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი*

# 2010 წ I კვარტლის საგარეო ვაჭრობა










- 2010 წლის პირველ კვარტალში ექსპორტის ოდენობა წინა წელთან შედარებით 54%-ით გაიზარდა, ხოლო 2008 წელთან შედარებით 3%-ით
- პირველ კვარტალში იმპორტი წინა წლის მაჩვენებელს 6%-ით აღემატება, ხოლო 2008 წელთან შედარებით 27%-ით ნაკლებია.
- 2010 წლის პირველ კვარტალში წინა წელთან შედარებით სავაჭრო ბალანსის დეფიციტი შემცირებულია 8.7%-ით, ხოლო 2008 წელთან შედარებით 37%-ით

# 2010 წ I კვარტლის დივერსიფიცირებული საგარეო ვაჭრობა

## ექსპორტი







## იმპორტი






# 2010 წ I კვარტლის უძრავი ქონებისა და ავტომობილების რეგისტრაცია

## უძრავი ქონების რეგისტრაცია (I კვარტ)




წყარო: საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

- 2010 წლის პირველ კვარტალში მთლიანი რეგისტრაციების მოცულობა 25.6%-ით გაიზარდა წინა წლის ანალოურ მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო 2008 წელთან შედარებით 8%-ით.
- იპოთეკის რეგისტრაცია პირველ კვარტალში 70%-ით გაიზარდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო 2008 წელთან შედარებით 6.7%-ით
- ქ. თბილისში 2010 წლის პირველ კვარტალში გაცემული იქნა 680 მშენებლობის ნებართვა, რაც 83.6%-ით მეტია წინა წელთან შედარებით

ავტომობილების რეგისტრაცია 2010 წლის პირველ კვარტალში წინა წელთან შედარებით 12.2%-ით გაიზარდა

## ავტომობილების რეგისტრაცია (I კვარტ)




წყარო: შსს-ს მომსახურების სააგენტო

# ელ-ენერგიის მოხმარება საწარმოო მიზნებისათვის

- საქართველოს საწარმოების მიერ მოხმარებული ელექტროენერგია 2010 წლის პირველ კვარტალში წინა წელთან შედარებით 7.3%-ით გაიზარდა, ხოლო 2008 წელთან შედარებით 10.4%-ით.

- 2010 წლის მარტში ელექტროენერგიის მოხმარება წინა წელთან შედარებით 22.7%-ით გაიზარდა, ხოლო 2008 წლის მარტთან შედარებით 14.9%-ით



# ელექტრო ენერგიის გენერაცია

- მარტის თვის ჰიდრო-ელექტროენერგიის გამომუშავებამ 857 მილიონი კილოვატ საათი შეადგინა. ეს ოდენობა სარეკორდოა აქამდე ოდესმე დაფიქსირებულ გამომუშავებებს შორის და 7.3%-ით აღემატება უდიდეს მაჩვენებელს (მაისი 2008 - 799 მლნ კვტ.სთ)
- ელექტროენერგიის საექსპორტო მაჩვენებელმა მარტის თვეში რეკორდულ ზღვარს მიაღწია ანალოგიურ პერიოდებთან შედარებით



# 2010 წ I კვარტლის ტვირთების გადაზიდვა

**Total Cargo Transportation & Mode**




- 2010 წლის პირველ კვარტალში ტვირთების ჯამური გადაზიდვამ 10.1 მლნ ტონა შეადგინა რაც წინა წლის მაჩვენებელს 11%-ით აღემატება
- პორტების მიერ ტვირთების გადაზიდვის მიხედვით 2010 წლის პირველი კვარტლის მაჩვენებელი წინა წლის მაჩვენებელს 22%-ით აღემატება, ხოლო 2008 წლისას 23%-ით.
- კონტეინერების გადაზიდვების მიხედვით წლევანდელი მაჩვენებელი შარშანდელს აღემატება 11%-ით

**Handled Cargo by Ports**




**Handled Containers by Ports**



# S&P რეიტინგი

- 2010 წლის 12 აპრილს Standard & Poor's რეიტინგების მიხედვით საქართველოს მთავრობის გრძელვადიანი საკრედიტო რეიტინგი 'B' დან 'B+' მდე გაუმჯობესდა.
- "ეს გაუმჯობესება მიუთითებს ჩვენს შეხედულებას საქართველოს შედარებით სიძლიერეზე და ეკონომიკური ზრდის პერსპექტივაზე სხვა 'B' კატეგორიის ქვეყნებთან მიმართებაში. ჩვენი აზრით, ბაზარზე ორიენტირებულ რეფორმებზე საქართველოს მთავრობის ძალისხმევა, საშუალო ვადიან პერიოდში გამოიწვევს ეკონომიკური და ფისკალური მაჩვენებლების გაუმჯობესებას"

# საქართველოს მთავრობის პოლიტიკა

- საქართველომ არ გადაუხვია ეკონომიკის ლიბერალიზაციის პოლიტიკას, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო
- ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით საქართველო ეკონომიკის სტიმულირების მიზნით არ დაადგა გადასახადების გაზრდის გზას.
- 2009 წლის განმავლობაში ეკონომიკის სტიმულირების მიზნით, სხვადასხვა პროექტებში საქართველოს მთავრობამ გააფორმა საერთაშორისო ხელშეკრულებები ან მიიღო დაახლოებით 3 მილიარდი აშშ დოლარი.
- საკმაოდ ეფექტური გამოდგა საქართველოს მთავრობის მიერ ინფრასტრუქტურის სექტორში გატარებული კრიზისის შემდგომი ეკონომიკის სტიმულირების პაკეტი
- ეფექტური აღმოჩნდა ფულად საკრედიტო პოლიტიკა, რომელმაც ბანკებს საშუალება მისცა ბიზნესის უფრო აქტიურად დაფინანსებისა.